ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 7

მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

გორი 6 თებერვალი 2023 წელი

ერთის მხრივ, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლა, მისი დირექტორის მ/შ -ის ჯუმბერ ტერუნაშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ ა(ი)პი დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირის (218032938) მისი გამგეობის თავმჯდომარის გიორგი ფერშანგიშვილის სახით (შემდგომში „შემსრულებელი“) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საექსპერტო- მომსახურების შესყიდვა _ CPV კოდით 71319000 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

2. **ხელშეკრულების საგნის ღირებულება ადგილი და ვადა**

2.1 შესასრულებელი სამუშაოს მომსახურების ღირებულება შეადგენს 150 (ას ორმოცდა ათი ლარი) ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადს და მოსაკრებელს.

2.2. მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

2.3. მომსახურების მიღების ადგილია: სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯრო სკოლა.

3. შესყიდული მომსახურების მიღება -ჩაბარების წესი

3.1. შესყიდული მომსახურების მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება „შემსყიდველისა“ და „შემსრულებლის“ მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

3.2 გაწეული მომსახურების მოცულობის ან წუნდების მიზეზის შესახებ “შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ ატყობინებს „შემსრულებელს“ წერილობით.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. “შემსყიდველს“ უფლება აქვს: შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

4.2 “შემსყიდველი“ ვალდებულია: მოახდინოს ანგარიშსწორება „შემსრულებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

4.3. “შემსრულებელს“ უფლება აქვს: მოსთხოვოს „შემსყიდველს“ შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

4.4 “შემსრულებელი“ ვალდებულია: მიაწოდოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი „შემსყიდველის“ მიერ განსაზღვრულ გეგმა-გრაფიკის მიხედვით და გაუწიოს მაღალკვალიფიციური მომსახურება, დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავების გადაწყვეტის წესი

5.1 მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა წყდება მოლაპარაკების გზით.

5.3 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო.

6. ფორს- მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში.

6.2 ფორს- მაჟორული გარემოებების შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ.

6.3. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუკი ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით.ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

7. **ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა**

7.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.2 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელსეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1 "შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლის დირექტორი ჯუმბერ ტერუნაშვილი.

8.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის შესახებ „შემსყიდველი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „შემსრულებელს".

8.4. გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „შემსრულებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2023 წლის 22 თებერვალის ჩათვლით.

10. სხვა პირობები

10.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი-„შემსყიდველთან", ერთი „შემსრულებელთან").

10.2. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

11. ხელშეკრულების მხარეთა ზუსტი დასახელება, რეკვიზიტები და ხელმოწერები.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლა ს/კ 218047227 მის.: გორის რაიონი სოფელი ზერტი ტელ: 577 92 25 10 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“ გ.ფ. ბანკის კოდი: LBRTGE 22 ა/ა GE54LB012112917042500 დირექტორის მ/შ: ჯუმბერ ტერუნაშვილი _____ (ხელმოწერა)	ა(ი)პი დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირი ს/კ 218032938 მის: ქ. გორი შიო მღვიმელის ქ. №12 ტელეფონი: (+995) 577 09 14 15 ბანკი: პროკრედიტ ბანკი ბანკის კოდი: MIBGGE22 ა/ა GE10PC0143600100034857 კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გიორგი ფერშანგიშვილი _____ (ხელმოწერა)

ბ. ა.